ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2437142

ნომერი: AR1377896

თარიღი : 12.02.2016

გაცემის თარიღი : 19.02.2016

გაცნობის თარიღი : 19.02.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა უშანგი ჩხეიძის , N 14 / ქალაქი თბილისი , ქუჩა უ.ჩხეიძე , N 16 / ქალაქი თბილისი , უშ. ჩხეიძის ქ. N 12 / ქალაქი თბილისი , ჩხეიძის ქუჩა N12-ის მიმდ. ტერიტორია;

დამკვეთი-განმცხადებელი

- მანანა ფიცხელაური პ/ნ 01008045101
- თბილისი წყნეთის ქ. N 3 ბ. 10

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 13.10.2015 წ. #2238438 ბრძანებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 12.02.2016 წ. #AR1377896 განცხადებით მომართა მანანა ფიცხელაურმა და მოითხოვა სამსახურის 13.10.2015 წ. #2238438 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ

13.10.2015 წ. #2238438 ბრძანებით ქ. თბილისში, ქუჩა უშანგი ჩხეიძის , N 14 / ქალაქი თბილისი , ქუჩა უ.ჩხეიძე , N 16 / ქალაქი თბილისი , უშ. ჩხეიძის ქ. N 12 / ქალაქი თბილისი , ჩხეიძის ქუჩა N12-ის მიმდ. ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკად. კოდი: #01.13.08.010.064, ფართობი 1126 კვ.მ.) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის აშენების მიზნით დამტკიცებული იქნა სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები.
განმცხადებელის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ დაგეგმილი სამუშაოების ფარგლებში, უნდა განხორციელდეს დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე არსებული დამჭერი კედლის დემონტაჟი. რადგან, განსახორციელებელი პროექტის ფარგლებში დაგეგმილი სამუშაოები სცდება საპროექტო ტერიტორიის საზღვრებს, განმცხადებელს წარმოდგენილი აქვს ქონების მართვის სააგენტოს თანხმობა (12.02.2016 წ. №QN1360796 გადაწყვეტილება) და შესაბამისი პროექტი, რომელიც შეთანხმებულია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის სამსახურთან და ქ. თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოსთან.

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ვინაიდან, სამსახურს ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით შესაძლებელად მიაჩნია აღნიშნული ცვლილების ასახვა სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დამკვეთის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების შესაბამისად,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 13.10.2015 წ. #2238438 ბრძანებით დამტკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებს დაემატოს შენიშვნის სახით ჩანაწერები:
   - დანართ დოკუმენტზე ასახული სამუშაოების განხორციელების თაობაზე. კერძოდ, შესაბამისი დასკვნის საფუძველზე განხორციელდეს დამჭერი ღობის დემონტაჟი;
   - საპროექტო მიწის ნაკვეთამდე მოეწყოს სამანქანო და ფეხით მოსისარულეთ გადაადგილებისთვის საჭირო მისასვლელი;
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 13.10.2015 წ. #2238438 ბრძანებით დამკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებთან ერთად;

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: შარტავას ქუჩა #7) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, სამსახურის ტექნიკური პრობლემების ცხელ ხაზზე - 2378346, ან ისარგებლოთ არქიტექტურის სამსახურის ონლაინ კონსულტაციის სერვისით, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.